განათება, კამერა, მედიაწიგნიერება

რჩევები მშობლებს და მასწავლებლებს

გამოიყენეთ ფილმების ფრაგმენტები და გამართეთ დისკუსია

აჩვენეთ ბავშვებს ფილმის მოკლე ფრაგმენტები და შემდგომ ერთად გაარჩიეთ.

დასვით კითხვები, მაგალითად: როგორ დაახასიათებდით მთავარ პერსონაჟს? როგორ ვითარდება სიუჟეტი? რა განწყობას ქმნის მუსიკა და ფერები?

დაანახეთ განსხვავებული პერსპექტივები

ფილმის ჩვენების შემდეგ, დაყავით ბავშვები ორ ჯგუფად. თითოეული ჯგუფი დაიცავს საწინააღმდეგო მხარეს. მაგალითად, ჯგუფი (ა) დაიცავს პროტაგონისტს, ჯგუფი (ბ) კი ანტაგონისტს.

ბავშვები გამოიმუშავებენ სხვადასხვა პერსპექტივის გააზრების, არგუმენტირებული განხილვისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარს.

შექმენით საკუთარი აუდიოვიზუალური ნამუშევარი

წაახალისეთ მოსწავლეები რომ შექმნან მოკლე ვიდეო ან ფოტოისტორია - ისტორიულ მოვლენაზე, სოციალურ საკითხზე, ან ორიგინალურ ნარატივზე.

პრაქტიკა სასარგებლოა შემოქმედებითი და კოგნიტური უნარების გასავითარებლად.

ოჯახური ფილმის სეანსები

აქციეთ ფილმის სახლში ყურება სახალისო და განმავითარებელ პრაქტიკად. წაახალისეთ დისკუსია კითხვების დასმით ფილმის შინაარსზე, გადაღების სტილზე, გამოყენებულ ფერებზე, მუსიკაზე და ა.შ.

გაამახვილეთ ყურადღება ფილმში ინტეგრირებულ რეკლამებზე (პროდუქტები, სერვისები, პლატფორმები და სხვა) ან დამაჯერებელ სლოგანებზე.